


საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR DEVELOPMENT OF SCIENCES AND SOCIETY



ISSN 1512-0333



2(43)

თბილისი TBILISI  
2012

საქართველოს მეცნიერებისა და  
საზოგადოების მაციოთარების ფონდი  
„ინტელექტი“

თაღავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის დია სასტაციო  
უნივერსიტეტი

ISSN 1512-0333

ს ა მ რ ი პ ა მ რ ი რ ი ს ტ

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი

ი ნ ტ ე ლ ლ ე კ ტ

международный периодический научный журнал  
И Н Т Е Л Л Е К Т

international periodical scientific journal  
INTELLECT

№ 2 (43)

თბილისი, Tbilisi

აგვისტო, August - 2012

10.05. ფილოლოგია PHILOLOGY

ნინო თევდორაძე  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ilia State University

ემოციური ლექსიკა „შინაგან შეტყობილებაში“ და შეატვრული ტექსტის ემოციური სივრცე

ბოლო წლების განმავლობაში, თანამედროვე ანთროპოლოგიური და კოგნიტიური ლინგვისტიკის გავლენით საგრძნობლად შეიცვალა, საქმაოდ რთული და საინტერესო სახე მიიღო მხატვრული ტექსტის სემანტიკური ორგანიზაციის კვლევამ. თუ სიტუაციის სემანტიკა ასახავს სინამდვილის ერთ რომელიმე ცალკეულ ნაწილს, წინადადების (გამონათქვამის) სემანტიკა - სიტუაციის (ან სიტუაციათა) შინაარსს, ტექსტის სემანტიკა ასახავს არა ერთ ან რამდენიმე სიტუაციას, არამედ მთლიან რეფერენტულ სივრცეს. შესაბამისად, ჩნდება ტერმინი - „ტექსტის სემანტიკური სივრცე“.

არსებობს ტექსტის სემანტიკური სივრცის დაყოფის ორ ცნობილი საშუალება - შინაარსი და აზრი (კონცეპტი). შინაარსი გაგებულია როგორც „მენტიალური წარმონაქმნი, რომელიც სინამდვილის იმ ფრაგმენტის მოდელირებას ახდენს, რომელზეც დააპარაკია ტექსტში“ [ბაბენკო, 2004: 37]. იგი დენოტაციურ (რეფერენტულ) სტრუქტურებს ეფუძნება, რომლებიც სამყაროში „ობიექტურ მოვლენათა ვთარებას ასახავენ“ [იქვე]. ხოლო, აზრი (კონცეპტი) გაგებულია როგორც წარმოდგენა, აზრი ამ სინამდვილის შესახებ, ანუ ინტერპრეტაცია იმისა, რასაც ტექსტი გვამცნობს.

სწორედ ამგვარი დაყოფის საფუძველზე გახდა შესაძლებელი თანამედროვე ტექსტის თეორიებში სემანტიკური სივრციდან გამოიყოს ვირტუალური და აქტუალური სემანტიკური სივრცები. ვირტუალურ სივრცეს განეკუთვნება თავად ვერპალური ტექსტი, რომელიც შეიცავს ავტორის (ადრესანტის) ინტენციით შერჩეულ ენობრივ ნიშნებს, ხოლო აქტუალურ სივრცეს - მეითხველის, მსმენელის, რეციპიენტის (ადრესატის) მიერ ტექსტის შინაარსობრივი სტრუქტურიდან აზრის გამოტანა (კონცეპტის გახსნა).

ვირტუალური სივრცე - ტექსტის შინაარსის, ანუ მისი დენოტაციურ-რეფერენტული სტრუქტურის შესწავლის სფეროს განეკუთვნება, ხოლო აქტუალური სივრცე - მეითხველის მიერ ტექსტის ინტერპრეტაცია მისი აღმის პროცესში - „აზრის გახსნა“ - ტექსტის სემანტიკის კონცეპტუალური და ემოციური სივრცის შესწავლას [ბაბენკო, 2004 : 54].

ტექსტის სემანტიკური სივრცის უნიშვნელოვანებს სფეროებს, რომლებიც სპეციალურ განხილვასა და ლინგვისტურ ანალიზს საჭიროებს, სწორედ ზემოთ სენტებული კონცეპტუალური, დენოტაციური და გმოციური სივრცები წარმოადგენს. ამათგან, წინამდებარე სტატიის ინტერესის სფერო მოიცავს ტექსტის ემოციურ სივრცეს, რომლის ფარგლებში ჩვენ ვიკლევთ ემოციურ აზრებს, მათი რეპრეზენტაცია ხორციელდება ემოციური ლექსიკის საშუალებით, მეტყველების იმ ტიპში, რომელსაც შინაგანი მეტყველება ეწოდება.

როგორც წესი, ემოციური „ტონების პოლიფონია“ მსატერიულ ტექსტში აგტორისეული და პერსონაჟისეული დონეების ურთიერთქმედების შედეგად იქმნება. ტექსტის ემოციური ტონალობა, როგორც უნივერსალური კატეგორია, უცილობლად გულისხმობს ემოციურ აზრებს - ექსპლიციტურს და იმპლიკიტურს, დიქტალურს და მოდალურს. მხატვრულ ტექსტში ერთმანიულად ერწყმის დიქტალურ-ემოციური (პერსონაჟის დონე) და მოდალურ-ემოციური აზრები (აგტორისეული დონე), რომელთა „ერთობლიობა შეადგენს ტექსტის ემოციური შინაარსის ბირთვეს“ [ბაბენკო, 2004 : 122]. ის გრძნობები, რომელთაც აგტორი პერსონაჟს მიაწერს, როგორც სინამდვილეში ობიექტურად არსებულს - დიქტალური ეწოდება, ხოლო გრძნობები, რომელთაც აგტორი გამოხატავს და მათ სუბიექტური შეფერილობა გააჩნიათ, მოდალური ეწოდება. წამყვანი პარტია ტექსტობრივ ემოციათა გუნდში ინტენციონალურ ემოციურ აზრებს ეკუთვნის, რომლებიც აგტორის პოზიციას და კონცეფციას ასახავენ. სწორედ აგტორის კონცეფცია განაბირობებს ემოციური აზრების იერარქიას და განსაზღვრავს დონინანტს მათ მრავალხმიანობაში, რომელიც სათავეს ავტორის მიერ დანახული სამყაროს თვალსაზიდობან იდებს.

პერსონაჟის ემოციური აზრები, რომლებიც ჩართულია მხატვრული ტექსტის შინაარსობრივ სტრუქტურაში, განსაკუთრებული ინფორმაციული მნიშვნელობის მატარებელია და პერსონაჟის ემოციათა მრავალფეროვნებას მოიცავს: სიმშეიდე, მოწყენილობა, სიყვარული, დანაშაულის შეგრძნება, სიბრალული, მდევლვარება, განცდა, შიში, აღშუოობა, მარტობის განცდა, ბრაზი, მონატრება, უკები, განცვიფრება, მწუხავება, წინათგრძნობა და ა.შ. ამ ემოციათა რეპრეზენტაცია ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ემოციური ლექსიკის საშუალებით. სხვადასხვა ტექსტობრივი პოზიციებიდან პერსონაჟთა ემოციური აზრების განხილვა შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს მათ მრავალფეროვნება.

ემოციურ აზრებს მხატვრული ტექსტის ფარგლებში მნიშვნელოვნების დატვირთულობის თვალსაზრისით განსხვავდული რანგი აქვს და განსხვავდებულ კონტექსტურ ვითარებაში გვხვდება. ამგვარი კონტექსტური სივრცის ფარგლებში გამოიყოფება:

1. ფრაზულ ემოციურ აზრებს (რომლებიც რთული სინტაქსური მთლიანის მიკროთემის სემანტიკურ კომპონენტებს წარმოადგენ) და მათი სემანტიკური რადიუსი მხოლოდ ფრაზის ფარგლებს მოიცავს);

2. ფრაგმენტულ ემოციურ აზრებს, რომლებიც ჩვეულებრივ ცალკეული ტექსტის ფრაგმენტის მიკროთემას ემოციებისას;

სხვადასხვა ტიპის ფრაგმენტული ემოციური აზრები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს განსხვავდებული სამეტყველო-კომპოზიციური ფორმებით:

1. თხობითი ფრაგმენტი
2. აღწერითი ფრაგმენტი
3. მსჯელის ფრაგმენტი

4. ემოციური დიალოგი

5. შინაგანი მეტყველების სხვადასხვა სახეები [ბაბექნი: 128].

როგორც თავიდანვე აღვინიშნეთ, ჩვენი ყურადღება სწორედ შინაგანი მეტყველების ფარგლებში წარმოდგენილი ემოციური სიგრცისადმი არის მიპყრობილი, რაც შემდეგ ამოცანას ისახავს მიზნად: გავარეკიოთ, თუ რა შესაძლო ხარისხით შეიძლება კლინდებოდეს ემოციური ტონალობა ემოციური ლექსიკით წარმოდგენილ შინაგანი მეტყველების სხვადასხვა სახეებში, რაც ეკლეგის შემდგომ ეტაპზე საშუალებას მოგეცემს განისაზღვროს შინაგანი მეტყველების ყოველი ცალკეული ტიპის ემოციური სიგრცის სტრუქტურა.

ამ ამოცანის შესასრულებლად უნდა გავიხსნოთ შინაგანი მეტყველების ტიპოლოგიზაციის პრობლემა, და, ამასთანავე, გავითვალისწინოთ სრულიად განსაკუთრებული როლი, რომელიც ფიქოლოგიას ენიჭება შინაგან მეტყველებაში.

შინაგანი მეტყველების ტიპების გამოყოფას განსაკუთრებით ართულებს ის მინიშნელოვანი გარემოება, რომ მათი ტერმინოლოგიური შინაარსი კვლავაც დაზუსტებას მოითხოვს. ნაცვლად „შინაგანი მეტყველებისა“, ასევე ვედებით ტერმინებს „ცნობიერების ნაკადით მეტყველება“, „ჩუმი მეტყველება“ ("silent narration"), „ფიქონარაცია“ "psychonarration", „შინაგანი მონილოგი“, თავისუფალი არაპირდაპირი მეტყველება ("free indirect speech") და ა.შ.

შინაგანი მეტყველება, მისი ნებისმიერი ფორმის გამოვლინებით, სპეციუგურად ფიქოლოგიური პროზისთვისაა დამახასიათებელი. შინაგან მეტყველებაში ფიქოლოგიზმი გვევლინება იმ ხერხებისა და საშუალებების სისტემად, რომელიც მიმართულია პერსონაჟის შინაგანი სამყაროს მთლიანი, სიღრმისეული და დეტალური გახსნისაკენ, მისი ფიქოლოგიური მდგრადირების (გრძნობების, აზრების, სურვილების) სიზუსტით გადმოცემისაკენ. თუმცა, მნიშნელოვანია იმის სახასმა, რომ შინაგანი მეტყველების ფორმები მირთადად ემსახურება „მეტყველებამდელ დონეების“, ანუ მის აღწერას, „რაც ზედაპირს ქვემოთა“. ფიქიკის იმ შრეების აღწერა კი, რაც „ზედაპირს ქვემოთა“, უშუალოდ უკავშირდება „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურას. პამურის აზრით, „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის ინტერესის სფერო მოიცავს ფიქიკის მთელ დიაპზონს, მას აინტერესებს ეწ. „შინაგანი ადამიანი“ (ინტერნალ მან)- მისი ფიქიკური არსებობა და ფუნქციონირება მთლიანად [რამური: 8], პერსონაჟის როგორც მეტალური, ისე სულიერი პროცესები - მათი რაობა და როგორობა. მისი კლასიფიკაციის მიხედვით, ეს პროცესები შეიძლება ოთხი ძირითადი ფორმით (ტექნიკით) იქნეს გადმოცემული: [რამური: 23].

1.პირდაპირი შინაგანი მონოლოგი

2.არაპირდაპირი შინაგანი მონოლოგი

3.„ყველისშემძლება“ ავტორისუფლი აღწერა (omniscient description)

4.საკუთარ თავთან მეტყველება (soliloquy)

„ყველისშემძლება“ ავტორისუფლი აღწერასა და საკუთარ თავთან მეტყველებას რ. პამური ლიტერატურაში მანამდე არსებულ ტრადიციულ მოდელებს მიაკუთხნებს, რომლებიც მირთადად ფიქიკის ზედაპირს ახლო მდებარე დონის (The level of consciousness close to the surface) გამოსავლენად გამოიყენება. ეს ორი ტრადიციული თხრობის მოდელი, ამ თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდება შინაგანი მონოლოგისაგან, რომლის შესახებ პამური ამბობს, რომ იგი არის „გამოსაზრის უკელაზე ინტიმური ფიქრისა, რომელიც არაცნობიერს ძალზე ახლოს ესაზღვრება“ [რამური : 25]. შინაგანი მონოლოგი, მისი აზრით, სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ჩვეულებრივ მონოლოგისაგან. მისი განსაზღვრის თანახმად, შინაგანი მონოლოგი არის ნაწილობრივ ან მთლიანად წარმოუთმევლი (unuttered) პერსონაჟის ფიქიკური შინაარსი და პროცესები, რომლებიც ფიქიკის სხვადასხვა დონეებზე არსებობენ, სანამ მეტყველებისათვის ფორმირდებიან [რამური 24]. იგი შინაგანი მონოლოგის ორ სახეს გამოყენება:

პირდაპირი შინაგანი მონოლოგი, რომლის გადმოცემისას ავტორი მთლიანად „გამქრალია“, ზოგ შემთხვევაში იგი კომენტატორის როლში გამოდის ისე, რომ მისი გამოჩენა თითქმის შეუმნიველია მკონსტიტუციური შინაგანი მონოლოგის კლასიფიკაცია მაგალითად, რომლითაც გადმოცემულია „ცნობიერების ნაკადი“ ავტორის „ჩაურეველად“, პამური „ულისეს“ ბოლო თავში წარმოდგენილ მოლი ბლუმის „ცნობიერების ნაკადს“ მიჩნევს. ამ მონოლოგის მსვლელობა, მისი აზრით, ფიქიკის სიღრმისუფლი ფენების თანაბრაობით ჩართვის გულისხმობის [რამური : 27]. სტიკნ დედალოსის ფიქიკის აღწერისას კი, როგორც იგი მიზნევს, შეწრალი შეუმნიველია მკითხველისათვის, მაგრამ იშვიათად კომენტატორის როლში მაიც გამოდის;

არაპირდაპირი შინაგანი მონოლოგი, რომლის გადმოცემისას ავტორი პერსონაჟის მეტყველებას ისე წარმოაჩენს, თითქმის იგი პერსონაჟის ფიქიკიდან მის ჩაურეველად მოდიოდეს, მაგრამ ამასთანავე, თან ურთავს საკუთარ კომენტარებსა და აღწერას.

ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ზედაპირს ქვემოთ“ მდებარე დონეების (ანუ, ფიქიკის არაცნობიერი დონეების) აღწერის დროს „ყველისმცოდნე და ყევლება მყოფ ავტორი“ „განზეა გამდეგარი“ და თხრობას მიანდობს პერსონაჟს, ამდენად ამგვარი (როგორც რამური უწოდებს „მეტყველებამდელი“ ("prespeech level") მეტყველება ნარაციის, ანუ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თვალსაზრისით პერსონაჟის ფიქიკულია. მაშინ, როცა, „ფიქიკის ზედაპირს ახლოს“ მდებარე დონეების აღწერისას, ადგილი აქვს ავტორისა და პერსონაჟის ხმათა „შეწრევას“. აქედან გამომდინარე, შინაგანი მეტყველების ეს ტიპი (რომელიც „თავისუფალი არაპირდაპირი მეტყველების“ ან „არასაკუთრივ პირდაპირი მეტყველების“ სახელწოდებითა ცნობილი) არც პერსონაჟის ფიქიკულია და არც ავტორის ფიქიკული, არამედ მათი მეტყველების „შეწრევას“ ფორმას წარმოადგენს. შინაგანი მეტყველების ტიპების კლასიფიკაცია სხვადასხვა ავტორებთან სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი და მოცემული სტატიის ფარგლებში შეუძლებელია თითოეულ მათგანზე მსჯელობა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზემოთ წარმოდგენილი ტიპი გადასინჯვას მოითხოვს სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ შინაგანი მეტყველების სიგრცის შინაარსის განსაზღვრა უცილობლად გულისხმობის მისი ცალკეული ტიპების შინაგანი მეტყველების ისე ფიქიკის იზოლირებულად განხილვა ისეთი ტიპის მეტყველების ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს გადმოგვცეს ფიქიკური პროცესები, ეწ. „შინაგანი ადამიანის“ ფიქიკური არსებობა და

ფუნქციონირება” როგორც შენტალური, ისე სულიერი პროცესები - მათი რაობა და როგორობა, შესაძლოა მეტად ქაოტურად და არამოტივირებულად განხორციელდეს. ავილოთ მცირე ფრაგმენტი ჯ.ჯოსის „ულისედან“: Her glazing eyes, staring out of death, to shake and bend my soul. On me alone. The ghostcandle to light her agony. Ghostly light on the tortured face. Her hoarse loud breath rattling in horror, while all prayed on their knees. Her eyes on me to strike me down (ჯ.ჯოსი: 15 - 16).

ცხადია, ემოციური ლექსიკა, რომელიც შედგება ემოციური შეფერილობის სიტყვებისაგან, გამოხატავს პერსონაჟის ემოციებს. მოცემულ შემთხვევაში, თუ ჩემ მათ განვიხილავთ კომპონენტურ ანალიზზე დაყრდნობით, არ იქნება როული იმის დანახვა, რომ გარდა ძირითადი (დენოტაციური) შინაარსისა, მათ ისინი გადმოგვცემენ დამატებით შინაარს, და ამ დამატებითი (კონოტაციური) შეფერილობის საშუალებით გადმოცემულია პერსონაჟის განცდები და ტკივილი. რომცა, პერსონაჟის ემოციური აზრების მოლიანობაზე მხოლოდ ზედაპირული შთაბეჭდილება შეიძლება შეგვექმნას, თუ მათ არ განვიხილავთ ტექსტის მოლიანი სემანტიკური სივრცის ფარგლებში. როგორც დასაწყისში აღნიშნეთ, ტექსტის სემანტიკა ასახავს არა ერთ ან რამდენიმე სიტუაციას, არამედ მთლიან რევერსტულ სივრცეს.

მოცემული ფრაგმენტის მიმართება კი მთლიან რევერსტულ სივრცესთან ამგვარია:

დრო - დილის 8 საათი, 1904 წლის 16 ივნისი, ხუთშაბათი.

ადგილი - ლებლინის ჭურე, მარტელოს კოშკი.

პიროვნება, რომლის „შინაგანი მეტაველებაც“ ზემოთ წარმოვადგინეთ, არის სტივენ დედალოსი - ოცდაორი წლის დამატებით სტუდენტი, ფილოსოფოსი და პოეტი. იგი სამი თვეა, რაც დამატებით სახლადან დაბრუნდა 1904 წლის დასაწყისში, როდესაც მამის დეპეშა მიიღო, რომელიც დედის მიმე ავადმყოფობას ატყობინებდა. საკვილის წინ დედის სტივენს სთხოვა დაეჩინა მის სარცეცლოან და განტევების ლორცა წაეკითხა. მან კი არ შეასრულა დედის თხოვნა, რაც შემდგომში მისი სასოწარკვეთილების მიზეზი გახდა. მოცემულ ფრაგმენტში პერსონაჟის „შინაგან მეტაველებაში“ ერთმანეთს ენაცვლებია: შეგრძნები, მოგონები, წარმოსახვები, წარმოდგენები და გრძნობები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს უფლებას განვაცხადოთ, რომ შინაგანი მეტაველების ემოციური სივრცის შინაარსის განსაზღვრა, უცილობლად გულისხმობის მისი ცალკეული ტიპების შინაარსის პლანის განსაზღვრას, რაც როგორც კვლევს მიმართულება გვჩვენებს, სწორედ ფიქტუროგიურ მონაცემებს ემყარება და იგი შეუძლებელია შემოსაზღვროს ფრაზული ან თუნდაც ფრაგმენტული ემოციური აზრების ანალიზის დონეზე.

#### ლიტერატურა

- 1.Humphrey R. – Stream of Consciousness in the Modern Novel, Barkley and Los Angelos, University of California Press, 1968 .
- 2.Prince, Gerald. Dictionary of Narratology. Lincoln: University of Nebraska Press, 2003
- 3.Merham John, The Literary Encyclopedia, Kingston University, 2003.
- 4.Л.Г. Бабенко, Ю.В.Казарин – Лингвистический анализ художественного текста, М., 2004.
- 5.Белянин В.П. – Основы психолингвистической диагностики: модели мира в литературе, М., 2000.
- 6.Лингвистический Энциклопедический Словарь, М., «Советская энциклопедия», 1990.
- 7.Новиков А.И. – Семантическое пространство текста и способы его членения\ Категоризация мира: пространство и время.М., 1997.

#### რეზიუმე

განხილულია შინაგანი მეტაველების უარგლების ემოციური ლექსიკის მრავალფეროვნება. ავტორი ხას უსვამს იმ ფაქტს, რომ ემოციური ლექსიკის გამოყოფა და განხილვა შეუძლებელია შემოსაზღვროს ფრაზული ემოციური აზრების ანალიზის დონეზე. ემოციური ლექსიკის სემანტიკური რადიუსი ვრცელდება ტექსტის მთლიან სემანტიკურ სივრცეზე. შინაგანი მეტაველების ემოციური სივრცის შინაარსის განსაზღვრა კი უცილობლად გულისხმობის მისი ცალკეული ტიპების შინაარსის პლანის განსაზღვრას.

Nino Tevdoradze

#### Emotive Lexis in Interior Speech and Emotive Space of a Narrative Text

#### Summary

The paper deals with the problem of analyzing emotive lexis within interior speech. The emotive space of interior speech represented by emotive words embraces “emotive thoughts” consisting of mental and spiritual experiences: sensations, memories, imaginations, conceptions, intuitions, thoughts, impressions, symbolizations, feelings, and the processes of association. These emotions are represented with the help of emotive words of different types. The author intensifies the fact of inability to investigate emotive lexis in isolation. In regard with interior speech, the semantic radius of an emotive word crosses the boundaries of a phrase level and it is unfolded in the whole referential space of a text. In an attempt to define the emotive space of interior speech, the author finds it important to take into account the problem of refocusing the typology of interior speech, since it is most often composed of a variety of types including: narrated stream of consciousness, quoted stream of consciousness, psycho narration, free indirect speech, interior monologue, soliloquy, inner voice, etc. The research into the lexical representation of the emotive space should be carried out on the basis of each separate type of interior speech.